ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №ЭЧ7
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(საკონკურსო მომსახურეობის შეყიდვა)

ქ. ზესტაფონი 12 [illegible] 2011 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარის მერაბ მასხარაშვილის სახით (მისამართი ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. № 11 (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტი"-ს დირექტორის ნოდარ მესხიშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მომსახურეობა

2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1. **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დანართი ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს განმარტებით ბარათს, შესაბამის სახარჯაღრიცხვო ღირებულებას, შესაბამის ნახაზებს და სპეციფიკაციებს, ღირებულებით 4300 ლარი**

3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **4300 (ოთხიათას სამასი) ლარი.**

4. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 13 [illegible] მდე.

6. *შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული მომსახურეობის მიხედვით ეტაპობრივად მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4. მომსახურების მოწოდების ადგილია ქალაქი ზესტაფონი წერეთლის ქ. № 11

8. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების დარღვევის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველი ასეთი დღისათვის ხელშეკრულების ან წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადაბმახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 24 [illegible] მდე.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

16.2 ინსპექტირებას განახორციელებს **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 11 თებერვლის № 28 ბრძანებით შექმნილი კომისია**

17. სხვა პირობები

17..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე მერაბ მასხარაშვილი

სს „პრივატბანკის“

ზესტაფონის ფილიალი

კოდი: CAVOGE22 (220101702)

ა/ნ № GE00TP0033030020000333

ს/კოდი: 230087045

მის. ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ-№11

მიმწოდებელი:

შპს „ზესტაფონპროექტი“

დირექტორი ნოდარ მესხიშვილი

ს.ს. „ლიბერთი“ ბანკის

ზესტაფონის ფილიალი

კოდი: LBRTGE22

ა/ნ GE36LB0113129130511000

ს/ კოდი: 230071953

მის. ზესტაფონი, ბიბილაშვილის 6

შეთანხმებულია:

გივი არაბიძე

გამგებელი

ადმინისტრაციული სამსახურის

უფროსი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი :

იურისტი:

შესაბამისი სამსახურის უფროსი:

1.2. ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	ხარჯთარიცხვის სავარაუდო ღირებულება (ლარი)	გასაწევი მომსახურების ღირებულება (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა
1	2	3	4	5
1	მეორე სვირის თემში სადგურ სვირთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაო	15000	300	ხელშეკრულების დადების დღიდან 15. კალენდარულ დღეში
2	სამხატვრო სკოლის რემონტი	27000	500	—„—
3	ბატონიშვილის ქუჩის გარე განათება	20000	400	—„—
4	კოსტავას ქუჩის გარე განათება	25000	500	—„—
5	ქეთევან წამებულის ქუჩაზე ხელოვნური ბალახის საფარიანი მინი სტადიონის მოწყობა	50000	1000	—„—
6	კვალითის დასახლებაში (შესასვლელში) სკვერის მოწყობა	50000	1000	—„—
7	კვალითის დასახლებაში კეკელიძის ქუჩაზე სკვერის მოწყობა	30000	600	—„—
	ჯამი ----------	217000	4300	

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: /მ. მასხარაშვილი/

შპს „ზესტაფონპროექტი"-ს
დირექტორი: /ნ. მესხიშვილი/